

2011 წლის 30 ივნისი. ბრიუსელი.

ქალბატონო ირმა!

ევროკომისიის პრეზიდენტმა, ბატონმა ჟოზე მანუელ ბაროზომ მთხოვა გვეპასუხა 30 მაისით დათარიღებული თქვენი წერილისთვის, რომელშიც მედია-კავშირი „ობიექტივი“ აღწერს, თუ როგორ ირღვევა ჟურნალისტთა უფლებები საქართველოში.

მინდა დაგარწმუნოთ, რომ ევროკავშირი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის განმტკიცებას, მხარს უჭერს დემოკრატიული რეფორმების განვითარებას თქვენს ქვეყანაში და ახორციელებს მჭიდრო მონიტორინგს ადამიანის უფლებათა დარღვევის ნებისმიერ ფაქტზე.

ამ კონტექსტში ევროკავშირი სერიოზულადაა შეშფოთებული, საქართველოში ჟურნალისტების ფიზიკური შეურაცხყოფისა და 26 მაისს სამართალდამცავების მიერ ძალის გადამეტების გამო. აუცილებელია კონსტიტუციის პატივისცემა და ყველას დაინტერესება კანონის უზენაესობის განმტკიცების საქმეში. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მოქალაქეთა მასობრივი შეკრება იმართება. ამ თვალსაზრისით, ევროკავშირს ესმის, რომ საჭიროა ხელისუფლების მხრიდან დაცული იყოს კანონი და წესრიგი, მაგრამ ასევე, ხაზს უსვამს, რომ ეს უნდა იყოს მიღწეული ძალთა პროპორციულობის დაცვის გზით. საქართველოში, ორივე მხარემ, ოპოზიციამაც და ხელისუფლებამაც უნდა აიღონ პასუხისმგებლობა იმაზე, რომ ძალადობა არ არის პოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალება. ევროკომისიამ საქართველოს მთავრობას მოსთხოვა 25–26 მაისს მომხდარი მოვლენების გამოძევა და ხაზი გაუსვა იმას, რომ აუცილებელია ამ გამოძევის გამჭვირვალობა. პოლიციის მიერ აქციაზე ძალის გადამეტება, რომელსაც (თქვენი ინფორმაციით) მოჰყვა მკვლელობები, ადამიანის უფლებების დარღვევა (რაც გამოიხატა ჟურნალისტების მიმართ ანგარიშსწორებაში) უნდა იქნას გამოძიებული. დამნაშავენი უნდა იქნენ მხილებულნი და მათი საქმეები უნდა გადაეცეს სასამართლოს.

სწორედ ეს საკითხი განვიხილეთ ევროკომისიისა და საქართველოს მთავრობის შეხვედრაზე, რომელიც ბრიუსელში 20 ივნისს გაიმართა. ევროკომისიამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ 26 მაისთან დაკავშირებული საქმე უნდა იქნეს გამოძიებული.

ევროკომისია განაგრძობს სახალხო დამცველის აპარატის დახმარებას, რათა ხელისუფლებისა და საზოგადოებრივი კორპუსის ძალისხმევით, საქართველოში დაცული იყოს დემოკრატია და ადამიანის უფლებები.

ევროკომისიის პრეზიდენტის სახელით, ჯონ კაერი